

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

როგორ დავაინტერესოთ მოსწავლე

ნოზაძე ნატო

სოფ. გიორგეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რეზიუმე

ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ მოსწავლეთათვის ძალზე ახლობელია მოთხრობის ანალიზისთვის, მასლოუსა და როჯერსის თეორიის საფუძველზე დაგეგმილი გაკვეთილი საინტერესო აღმოჩნდა. მოსწავლეებმა სწორად გაიაზრეს იერარქიის საფეხურები და აღმოაჩინეს: იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინოს, მნიშვნელოვანი ეტაპები უნდა გაიაროს. ლუარსაბ თათქარიძეს პირამიდის პირველ საფეხურზე მიუჩინეს ადგილი, შემდეგ სურვილი გამოხატეს თავადაც ეცადათ ბედი და პირამიდის ზედა იერარქიებისაკენ დაიწყეს სწრაფვა- ზოგმა საკუთარი თავი პირამიდის მე-4, ზოგმა მე-5 საფეხურზე დაინახა, ხოლო ლუარსაბი მათ ვერანაირ მეტოქეობას ვეღარ უწევდა. თითქოს ნაცნობი მასალა მათ ახლებურად გაიაზრეს და საინტერესო მსჯელობა გამართეს. დაასკვნეს, რომ დანაშაულია ამქვეყნად იცხოვრო ადამიანმა და კვალი არ დატოვო, რადგან ყველას გვაკისრია ჩვენი მოვალეობა, რომელიც პირნათლად უნდა შევასრულოთ და „წარვსდგეთ ჩვენს მეუფესთან ხელთ ანთებული ცვილითა“.

საკვანძო სიტყვები: გაკვეთილი, გეგმა

გაკვეთილი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება თუ მოსწავლეთა შესაძლებლობებს დავადგენთ და მათი ინტერესებიც გვეცოდინება. ხშირად მიწევს ფიქრი, თუ როგორ ავხსნა ახალი მასალა ისე, რომ ყველა მოსწავლისთვის საინტერესო იყოს და ძიების სურვილიც გავუღვივო. ზოგჯერ ისეთი თემის ახსნა მიწევს, რომელიც შესაძლოა იცოდეს, რადგან კლასიკური ნაწარმოებების ფრაგმენტები დაწყებით საფეხურზეც ისწავლება და მოსწავლეები კარგად იცნობენ ასახსნელი ნაწარმოების პერსონაჟს. თითქოს რთული იყო მეთერთმეტე კლასელებისთვის ახლებურად დამენახებინა ლუარსაბ თათქარიძე, არადა კლასიკა მარად თანამედროვეა და ყოველ დროში ინტერესი უნდა აღძრას. გადავწყვიტე ჰუმანისტური თეორიის მიმდევრების - კარლ როჯერსისა და აბრაამ მასლოუს თეორიის საფუძველზე ამეხსნა ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ გამოწვევის ფაზა კითხვების საშუალებით განხორციელდა, მოსწავლეები აქტიურობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ილია ჭავჭავაძისთვის მთავარი იყო ყოველივე ეროვნული, იგი არავის ინდობდა, თვით გრიგოლ ორბელიანსაც კი დაუპირისპირდა და სასტიკად გაკიცხა. ლუარსაბ თათქარიძეც გაიხსენეს და აღნიშნეს, რომ იგი დილიდან- საღამომდე ბუხების

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

თვლასა და ტახტზე კოტრიალში ატარებდა დროს - ასე გადმოსცემდნენ მოსწავლეები თავიანთ ცოდნას. აქ კი ჩავერთე და ეს ფრაზა მოვიყვანე ტექსტიდან: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, ესეც კარგია, არარაობას ეგა სჯობია, მაგრამ ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ ამ კითხვის შედეგ მასლოუსა და როჯერსის თეორიიდან მოვიხმე ციტატა : „ადამიანის პიროვნება წარმოადგენს ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილებისა და თვითრეალიზაციის გამოხატულებას (კ. როჯერსი, აბ. მასლოუ). ყურადღება გავამახვილე „პიროვნებაზე“ და დავაკონკრეტე, რომ ყველა ადამიანი არ არის პიროვნება. ილიას მიმართვა ლუარსაბისადმი განვმარტე შემდეგნაირად: ილიას ეს სიტყვები არ ეხება მხოლოდ ლუარსაბსა და იმ პერიოდის თავადებს, არც მხოლოდ მათ, ვინც უმოქმედოდ ატარებს ცხოვრებას, არამედ ყველას, ვინც არ ზრუნავს თვითგანვითარებასა და პიროვნულ ზრდაზე (მნიშვნელობა არა აქვს, რას დაუთმობს იგი უმეტეს დროს: ჭამა-სმასა თუ სხვა სახის გასართობს). მოსწავლეთა ინტერესი თანდათან იმატებდა და გავაცანი მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის საფეხურები: მასლოუს თეორიის მიხედვით, იმისთვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს მოთხოვნილებათა ყველაზე მაღალ დონეს, აუცილებელია ფლობდეს სხვა, მის ქვეშ მდგომ დონეებს.

I. ფიზიოლოგიური საჭიროებები პირდაპირ კავშირშია ადამიანების არსებობასთან და სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანია მათი დაკმაყოფილება. თუ ეს მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული, ორგანიზმი უბრალოდ ვერ განაგრძობს არსებობას.

II. დაცულობის საჭიროება - თუკი პირველადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მაშინ ჩნდება მეორადი საჭიროებების აუცილებლობა.

III. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდგომ და მას შემდეგ, რაც იქმნება ფიზიკური და სოციალური უსაფრთხოება, ადამიანს უჩნდება სურვილი უყვარდეთ, უყვარდეს.

IV. პატივისცემა, ანუ იყოს დაფასებული საზოგადოების მიერ.

V. თვითაქტუალიზაცია - ეს დონე გულისხმობს ადამიანის თვითრეალიზებას.

მოსწავლეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჰუმანისტი თეორეტიკოსების მოთხოვნილებათა პირამიდად და ლუარსაბს იერარქიის პირველ საფეხურზე მიუჩინეს ადგილი. სურვილი გაუჩნდათ, თავიანთი თავიც ეხილათ პირამიდის ამ იერარქიულ საფეხურებზე და აქტიურად დაიწყეს სწრაფვა ზედა საფეხურებისკენ, თითოეული მათგანი ასაბუთებდა რატომ თვლიდა, რომ აღნიშნულ საფეხურზე იმყოფებოდა. არგუმენტირებული მსჯელობა იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ რამდენიმე მოსწავლემ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ყველაზე მნიშვნელოვანი აღნიშნული გაკვეთილიდან ის იყო, რომ ყველა მოსწავლე იყო აქტიურად ჩართული და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს მივაღწიე. მეთერთმეტე კლასისათვის, რომლებიც თითქოსდა იცნობდნენ ლუარსაბს, გაკვეთილი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა და შემდეგ შთაბეჭდილებებს სხვებსაც

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

უზიარებდნენ. სწორედაც, კლასიკური ნაწარმოები ამოუწურავია, ის მუდამ იარსებებს და ყოველ დროში ჰპოვებს თავის ადგილს, მთავარია ჩვენ მივაგნოთ იმ მეთოდებს, რომლითაც დავაინტერესებთ მოსწავლეს.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ ვფიქრობ, მასწავლებლის მოვალეობაა, საგნის სწავლებისას და ყოველი ცალკეული გაკვეთილის მსვლელობისას გაითვალისწინოს მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, მათი ინტერესები და წინარე ცოდნა; ეცადოს მათთვის უკვე ნაცნობი სასწავლო მასალა თუ სოციალური გამოცდილების გზით მიღებული ცოდნა მათი გონებრივი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარების დონეს შეუსაბამოს და ახლებურად დაამუშავებინოს. მხოლოდ ასე მოახერხებს მასწავლებელი მოსწავლეთა სრულ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი კოგნიტური თუ მორალური უნარების განვითარებას. მასწავლებელს პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე შეუძლია ასწავლოს მოსწავლეებს სახვადასხვა ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება, ნასწავლის განზოგადება და მოცემულ კონკრეტულ სასწავლო შინაარსში გამოყენება. ამგვარი სასწავლო სირთულეების დამღვევა კი საგაკვეთილო პროცესს მოსწავლეთათვის არა მხოლოდ სასარგებლოს, საინტერესოსაც ხდის, ამაღლებს მათ სასწავლო მოტივაციას და სწრაფვას განვითარებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე - „კაცია-ადამიანი?!“
2. „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2008.